შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
გრიგოლ რობაქიძის
სახელობის
უნივერსიტეტი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელს თამარ სანიკიძეს

ქალბატონო თამარ,

წარმოგიდგენთ, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 წელს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, კორექტირებულ ანკეტა-კითხვარსა და დანართს.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი

რექტორი,

პროფესორი,

მამუკა თავხელიძე

№ 01-19/607

23. 05 2016

თბილისი, 0160
დავით აღმაშენებლის
ხეივანი მე-13 კილომეტრი
ტელ.: (995 32) 2 385 695; 2 384 406
ფაქსი: (995 32) 2 252 981
info@gruni.edu.ge

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალური ანკეტა-კითხვარი

ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
	იურიდიული მისამართი	თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ
	პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13კმ
	ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი)	info@gruni.edu.ge
	ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	რექტორი - თავხელიძე მამუკა, 568 57 14 09, m.tavkhelidze@gruni.edu.ge
	საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	სტუდენტური სერვისის სამსახურის უფროსი - ბერიძე ფიქრია, 598 57 87 87, p.beridze@gruni.edu.ge

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლო პროგრამა
	პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება	ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, მათემატიკა
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	№13. 17.03.2016
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	20
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	ქართული
	პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60
	მიზანი და სწავლის შედეგი *	იხ. დანართი

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	2	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	კომბინირებული გამოცდა ზოგად პროფესიულ უნარებში	
2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	2	მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	კომბინირებული გამოცდა ზოგად პროფესიულ უნარებში	
3	ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	14	2250	10	ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	კომბინირებული გამოცდა ზოგად პროფესიულ უნარებში	

* მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი

ხელმოწერა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლო პროგრამა

პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს დარგობრივი კომპეტენციის მქონე საბაზო და საშუალო სკოლის საგნის (ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ინგლისური ენის) მასწავლებელი, რომელიც შეძლებს ეფექტური პედაგოგიური სტრატეგიების/მეთოდოლოგიის განსაზღვრას, მართებული პედაგოგიური გადაწყვეტილებების მიღებას საგანმანათლებლო მიზნებისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.
- უზრუნველყოს მსმენელთა მიერ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიების შესწავლა და ჩამოუყალიბოს პედაგოგიური პრობლემის/პრობლემების ხედვისა და რთულ/არაორდინალურ საკლასო/სასკოლო სიტუაციებში სწორი პროფესიული ორიენტაციის უნარი,
- განუვითაროს მსმენელებს თანამედროვე პედაგოგიური აზროვნება, ჩამოუყალიბოს სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის უნარი მოსწავლეთა მრავალფეროვნების თავისებურებების გათვალისწინებით.
- ჩამოუყალიბოს მსმენელებს პროფესიული ღირებულებები და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარი მოსწავლეებთან და სკოლასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან, კოლეგებთან, მათ შორის, საერთო პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით.
- განუვითაროს საკუთარი შესაძლებლობებისა და ზრდის პერსპექტივის განსაზღვრისა და კონკურენტუნარიან, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირების უნარი.

სწავლის შედეგები კომპეტენციების მიხედვით:

1. ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული გააცნობიერებს და ეცოდინება:

- პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიები, მათ შორის, ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის (ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ინგლისური ენის) სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან მიმართებით.
- საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები და ორგანიზაციული სტურუქტურა, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის და შეფასების, მათ შორის, ჯასაღი, უსაფრთხო და წამახალისებელი გარემოს შექმნის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენებას, მათი კრიტიკულად გაცნობიერების გზით, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის.
- სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით.
- უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას, მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრასა და მასზე რეაგირებას, მათთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევას.
- სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნასა და სასწავლო პროცესის მართვას.
- მშობლების დაინტერესებას სწავლა-აღზრდის საკითხებით და მთთვის საჭირო პედაგოგიური კონსულტაციის გაწევას.

3. დასკვნის გაკეთების უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სპეციალური კვლევითი საქმიანობის დაგეგმვას და განხორციელებას, შედეგების გამოყენებას პრაქტიკაში, როგორც საკუთარი პროფესიული განვითარების, ისე სწავლა-სწავლების პროცესის სტრატეგიის განსაზღვრისათვის.
- პროფესიული სიტუაციების, ანალიზს, შეფასებას, მოსალოდნელი შედეგების ხედვას და დასკვნის გაკეთებას.

4. კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაციას კოლეგებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან, როგორც ვერბალურად, ისე თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
- სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას.
- თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზაციული მართვისას, ისე სწავლების პროცესში.

5. სწავლის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს:

- საკუთარი შესაძლებლობებისა და კარიერული ზრდის საზღვრების განსაზღვრას, შესაბამისად, უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების გაცნობიერებასა და დამოუკიდებლად სწავლას.
- თვითშეფასებას და საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.

6. ღირებულებები

- ეცოდინება მასწავლებლის ეთიკის კოდექსი და პროფესიულ საქმიანობაში იმოქმედებს მის შესაბამისად.
- იზრუნებს და ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების დამკვიდრებასა და განვითარებას.
- ექნება როგორც ლოკალურ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარი.